

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISSN 0134 – 4943

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXVIII

თბილისი

„მეცნიერება“

1989

#172#

ბესარიონ ჯორბენაძე

ინხოატივი ქართულში*

1. ზოგადი თვალსაზრისისათვის

ქართულში ზმნის კატეგორიები როგორც ფორმოზრივი, ასევე სემანტიკური თვალსაზრისით შეიძლება განაწილდეს ორ ჯგუფად: უღვლილებისა და ასპექტის კატეგორიებად.

უღვლილების კატეგორიები განაპირობებენ ზმნის ცვლას ნაკვთების (მწკრივების) მიხედვით.

ასპექტის კატეგორიები განარჩევენ მოქმედების სახეს როგორც ერთი ნაკვთის ფარგლებში, ასევე ორ ნაკვთს შორის.

ანუ: უღვლილების კატეგორიები განსაზღვრავენ მოქმედების რაობას, ასპექტის კატეგორიები — რაგვარობას.

ასპექტის კატეგორიებიდან ქართული ზმნის ძირითადი მახასიათებელია პერფექტულობა. ამასთანავე იგი ის სახეობაა ასპექტისა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული უღვლილების სისტემასთან:

დაუმაღავს ის მას მას (I სერია)

დაუმაღავს მას ის (III სერია)

ეს ორი ფორმა მორფოლოგიურად განირჩევა ნაკვთების (მწკრივების) მიხედვით, სინტაქსურად — ინვერსიულობის თვალსაზრისით (პირველი პირდაპირი წყობისაა, მეორე — ინვერსიული), ასპექტობრივ — არაპერფექტულობა-პერფექტულობის მიხედვით.

ენაში ხდება არაპერფექტულობის და პერფექტულობის შემდგომი დიფერენცირება მოქმედების სრულობის, მოქმედების გრძლიობის, მოქმედების გზისობის... მიხედვით.

ასე რომ, ასპექტი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა ამ თვალსაზრისით, ვინემ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაშია წარმოდგენილი (იგულისხმება სრული — უსრული, ერთგზისი — მრავალგზისი, წერტილობრივი — განგრძობითი ასპექტები).

ასპექტის თითოეულ სახეობას (კატეგორიას) აქვს დამატებითი სემანტიკური მახასიათებლები, მაგალითად, ასპექტის სრული სახის დამატებითი სემანტიკური მახასიათებლებია: ოდნაობა (წაიჭურჭულა), უნებლიობა (შემოეჭამა),

* იხ. აგრეთვე: ბ. ჯორჯენაძე, მოქმედების დაწყებითობის ფუნქციის გამოხატვა ძველ ქართულში, საიუბილეო კრებული: აკაკი შანიძე — 100, თბილისი, 1987.

#173#

მოჩვენებითობა (მოიგიჟიანა თავი), ფინალობა (გააკეთა), ზღვრულობა (მივიდა), არაზღვრულობა (წავიდა)...

ინხოატივი ანუ მოქმედების საწყისობა მოქმედების სრული სახის ერთ-ერთი სემანტიკური მახასიათებელია ზემოდასახელებულთა შორის.

2. ინხოატივის შესწავლის ისტორიისათვის

ინხოატივად იწოდება ზმნის ფორმა, რომელიც გამოხატავს მოქმედების დაწყებითობას: **ამღერდა, ატირდა, აბიბინდა, აბრილადა...**

ამ მნიშვნელობის აღსანიშნად სხვა ტერმინებიცაა გამოყენებული: ინცეპტივი და ინგრესივი.

ხშირად ეს ტერმინები სხვადასხვა სემანტიკურ მოვლენას აერთიანებს. მაგალითად, ინგრესივი განიმარტება როგორც ზმნის ფორმა (ჩვეულებრივ, აორისტი), რომელიც გამოხატავს მოქმედების დაწყებას, მდგომარეობის ცვლას ან სხვა მდგომარეობად ქცევას.

უ. ჩეიფი ინხოატივს განსაზღვრავს როგორც პროცესს, წარმოქმნილს (წარმოებულს) მდგომარეობისაგან. განსაზღვრა ითვალისწინებს წმინდა სემანტიკურ მომენტს და ამიტომაც, ამ თვალსაზრისით, არა აქვს მნიშვნელობა საკუთრივ ფორმოზრივად რა არის საყრდენი. მაგალითად, open „გაღებული“ სემანტიკურად ამოსავალია open „გაღება“ მნიშვნელობისათვის, wide „ფართო“ — widen „გაფართოება“ მნიშვნელობისათვის (აქ ფორმოზრივადაც ანალოგიური მიმართებაა), tired „დაღლილი“ — tire „დაღლა“ მნიშვნელობისათვის (თუმცა ფორმოზრივად საპირისპირო ვითარებაა: tire არის ამოსავალი tired ფორმისათვის). დასკვნა ასეთია: „ფარდობითი პროცესები ყოველთვის ნაწარმოებია ფარდობითი მდგომარეობებიდან“¹.

არსებითად აქ გვაქვს არა მოქმედების დაწყებითობა, არამედ მდგომარეობის „გაპროცესება“ (პროცესად, მოქმედებად ქცევა), რაც კარგადაა ცნობილი ქართულ ენაში: შურ-ი → შურ-ს, ჭირ-ი → ს-ჭირ-ს, თეთრ-ი → ა-თეთრ-ებ-ს, წუხ-ს → ა-წუხ-ებ-ს...

„ინხოატივი“ პირველად ლათინურ ენაში იქნა გამოყოფილი ალსანიშნად იმ ზმნებისა, რომლებიც გამოხატავენ მოქმედების დაწყებას, უკეთ: მოქმედების საწყის საფეხურს: *adolesco* „ვიზრდები“, *albescio* „ვთეთრდები“, *amasco* „სიყვარული აღმეძვრის“, *calesco* „ვთბები“ და მისთ². ფართოდაა წარმოდგენილი ამ რიგის წარმოება, საერთოდ, რომანულ ენებში³.

თვით ტერმინი „ინხოატივი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან *inchoo* || *inchoo* „დაწყება“.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ინხოატივი დასახელებულია დ. ჩუბინაშვილის, მ. ჯანაშვილის და ზოგი სხვა ავტორის გრამატიკებში. განმარტება ინხოატივად წოდებული ზმნებისათვის მათ არ მიუციათ, ოღონდ წარმოდგენილი მაგალითებით ნათელი ხდება, თუ რას გულისხმობდნენ ისინი: **ვწყალობები** „წყლად ვიქცევი“, **ვკაცდები** „კაცად ვიქცევი“, **ვთეთრდები**, **ვბერდები**...⁴.

1 У. Чейф, Значение и структура языка. Москва, 1975, გვ. 142-145.

2 ს . ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი , ლათინური ენის სახელმძღვანელო, თბილისი, 1967, გვ. 84-85.

3 А. Эрну, Историческая грамматика латинского языка, Москва, 1950, გვ. 163.

4 მ . ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906, გვ. 108-110.

#174#

აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ლათინური ენის თარგზე ხდება ქართული ზმნების დახასიათება.

ღირსსაცნობია, რომ ინხოატივის რეალური არსის შესახებ საკითხი ერთ-ერთმა პირველმა დასვა იაკობ გოგებაშვილმა“ „ზოგს ჩვენს ზმნას აქვს დასაწყისი ფორმა; მაგალითად, **ატირდა, აწვიმდა**. მაგრამ ამგვარი ზმნები ცოტაა და თითქმის ყველა შემთხვევაში ჩვენ დასაწყისს მოქმედებისას ვხატავთ წარსული დროით და სახელზმნით: **დაიწყო ლაპარაკი და აღარ გაათავა, აუტყდა სიცილი და ველარ შეიკავა, ჯარმა იწყო ომი და სხვანი**“⁵.

ქართულში მოქმედების საწყისობის გამოხატვის შესაძლებლობას ყურადღება მიაქცევს ქართული ენის უცხოელმა მკვლევრებმაც.

3. ფოგტი -დ სუფიქსიანი ვნებითების ფუნქციებთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ამ რიგის ზმნები ა- ზმნისწინის მქონეობისას გამოხატავენ ასპექტის ერთ-ერთ ფუნქციას — ინგრესივს. ნიმუშებად მოჰყავს აორისტისა და მყოფადის ფორმები: **ათამაშდა, ათამაშდება**⁶. „ინგრესივი“ იგივეა, რაც „ინხოატივი“.

დ. ჰოლისკი მოქმედების საწყისობას „ინცეპტივს“ უწოდებს და განმარტავს: ინცეპტივი გამოხატავს დაწყებას ახალი მდგომარეობისა ან მოქმედებისა. იგი ასახელებს ამ სემანტიკის მქონე ზმნების ოთხ ჯგუფს: ა) ნასახელარი ზმნები:

გაწითლება, გაგიჟდება, გამეფდება... ბ) სტატიკურ ფორმათაგან ნაწარმოები ზმნები: დადუმდება, შეუყვარდება... გ) ზმნები, რომლებიც არ გამოხატავენ მოძრაობას (გადაადგილებას): ალაქლაქდება, აგიზგიზდება... დ) ზმნები, რომლებიც მოძრაობას (გადაადგილებას) გამოხატავენ: მიგორდება, შესრიალდება, აცოცდება...⁷ ამ ფუნქციის გამომხატველ ზმნათა მაწარმოებლად ავტორი გამოჰყოფს ზმნისწინებს; ინცეპტივს, მისი აზრით, აწარმოებს — მოძრაობის არაღმნიშვნელ ზმნათაგან ა- ზმნისწინი, სახელთაგან — გა- ზმნისწინი; ზოგ შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვა (და-...) ზმნისწინებიც.

მკვლევარი იმ განმარტებას ეყრდნობა, რომ ინცეპტივი, გარდა დაწყებითობისა, გამოხატავს მდგომარეობის ცვლასაც, გარდაქცევითობასაც.

დასახელებულ ზმნათაგან ინხოატივს სინამდვილეში გამოხატავენ მესამე წყების ფორმები (ალაქლაქდება, აგიზგიზდება...), იშვიათად — ზოგი მეოთხე წყების ზმნაც, ოღონდ — გარკვეულ კონტექსტში (აცოცდება „ცოცვას დაიწყებს“).

გარდა ამისა, ის მახასიათებლები, რომლებიც ავტორს აქვს დასახელებული (ნასახელარი ზმნები, მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები...) ინხოატივის განსასაზღვრავად არაფერს იძლევიან.

ზმნის ასპექტურ სისტემაში ინხოატივის ადგილის განსაზღვრას სპეციალურ ლიტერატურაში წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს. ნიმუშად გამოდგება თუნდაც ის ცდები, რომლებიც რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში იჩენს თავს.

ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, ინხოატივი განიხილება სრული ასპექტის ნაირსახეობად, რომელიც გამოხატავს განგრძობითი მოქმედების საწყისობას;

⁷ ი . გოგებაშვილი, შენიშვნა ქართული ზმნის შესახებ, თხზულებანი, 2, თბილისი, 1954, გვ. 132.

⁶ H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, Oslo, 1971, გვ. 116.

⁷ D e e A n n H o l i s k y , Aspect and Georgian medial verbs, New Jork, p. 41-43.

#175#

ანუ: ინხოატივი განიმარტება როგორც საწყისობა განგრძობითი (გრძლივი) მოქმედების (наступление начала в длительности действия). იმავედროულად განირჩევა საკუთრივ ინხოატივი (**забегать, заговорить**) და ინგრესივი (**побежать, полюбить**). ასე განსაზღვრავდა საწყისობის სემანტიკას გამომხატველ ზმნებს ფ. ფორტუნატოვი. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ის ფორმები, რომლებიც ინგრესივად იწოდება, სინამდვილეში არ გამოხატავენ საწყისობის სემანტიკას. აქ აღრეულია გრამატიკული და აზრობრივი ცნებები: **побежать, полюбить** აზრობრივად გულისხმობს იმას, რომ, რადგან გადაიქცა, შეიყვარა, სირბილი და სიყვარული გარკვეულ პერიოდში განგრძობითად იქნება წარმოდგენილი (ანუ: ესაა ისეთი მოქმედება ან მდგომარეობა, რომელიც აზრობრივად გულისხმობს დროში, დროის გარკვეულ მონაკვეთში განფენას, გრძლიობას), მაგრამ გრამატიკულად აქ სხვა ვითარებაა: **побежать, полюбить** იმავე რიგისაა, რაც **побить, похитить** და ისევე, როგორც ბოლოს დასახელებული ზმნები არ გულისხმობენ გრამატიკულად იმ მნიშვნელობის გამოხატვას (რადგან ვიღაცას სცემეს, ვიღაც ან რაღაც მოიტაცეს), რომ ეს არის ნაცემად ყოფნის ან მოტაცებულის ფლობის საწყისი პროცესი, არც ზემოხსენებული ზმნები გამოხატავენ მათთვის ნავარაუდევ ვითარებას⁸.

სხვა განსაზღვრით, ინხოატივი განიხილება როგორც მოქმედების შედეგის დასაწყისი (наступление результата действия). ეს განმარტება ა. შახმატოვს ეკუთვნის. მანვე დაუპირისპირა ერთმანეთს მოქმედების საწყისი და სასრული სახეები, ანუ: არსებითად დიქტომიის საფუძველზე წარმოადგინა ასპექტის ეს ნაირსახეობა. ინხოატივის ამგვარი განსაზღვრა (მიუხედავად იმისა, რომ ა. შახმატოვს დაწვრილებით არ გაუანალიზებია ამ რიგის ფორმები) უთუოდ ფასეულია და ნათელს ჰფენს პრობლემას⁹.

არსებობს სხვაგვარი თვალსაზრისიც: ინხოატივი განიხილება როგორც მოქმედების სახეობა, ხერხი, საშუალება (способ глагольного действия), რომელიც განსხვავდება მოქმედების სახისაგან (ასპექტისაგან). მოქმედების სახეობა, ამ განმარტებით, სამი რიგისაა: ა) დროში მოქმედების მიმდინარეობის დამაზუსტებელი სახეობანი (საწყისობა, ზღვრულობა, ფინიტობა); ბ) მოქმედების რაოდენობრივ-დროითი მახასიათებელი სახეობანი (განუსაზღვრელ-განგრძობითობა, მრავალგზისობა...); გ) მოქმედების შედეგის (რეზულტატის) დამაზუსტებელი სახეობანი (ტერმინალობა, ინტენსიურ-შედეგობითობა, დისტრიბუციულობა...). ამრიგად, მოქმედების სახეობად გამოყოფილია საწყისობა — ფინალობა (პირველი რიგი), ოღონდ არა დიქტომიის სახით: **запеть, заболеть, зацвести** — საწყისობას გამოხატავენ, **отходить, отплавать, отшуметь** — ფინალობას (ფინიტობას) — თითოეულ სახეობად სხვადასხვა ფუძის ზმნებია დასახელებული (ამიტომაც არ არის აქ დიქტომიის პრინციპი; შდრ.: **запел — спел**, როცა დაპირისპირება დიქტომიის პრინციპს ეფუძნება). ფინალობა განისაზღვრება როგორც

⁸ შდრ. В. Виноградов, Русский язык, Москва, 1986, გვ. 425, 433.

⁹ А. А. Шахматов, Синтаксис русского языка, Ленинград, 1941, გვ. 475; Из трудов А. А. Шахматова по современному русскому языку, Москва, 1952, გვ. 201.

#176#

„განგრძობითი მოქმედების შეწყვეტა“¹⁰, რაც სინამდვილეში მხოლოდ ერთ-ერთი სახეობაა ფინალობისა.

მოქმედების საწყისობის (ინხოატივის) ამგვარი განსაზღვრა სხვადასხვა მოდიფიკაციებით გვხვდება.

რუსულში ინხოატივის მნიშვნელობას ძირითადად სრული სახის ზმნები გამოხატავენ, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ინხოატივი უსრულიც შეიძლება იყოს (**запеть — запевать, вскипеть — вскипать...**¹¹).

ინხოატივი შესაძლოა გამოიხატოს როგორც გარდამავალი (**запеть, заговорить...**), ასევე გარდაუვალი (**заблестеть, заволноваться, задыхаться...**) ზმნებით ¹². გარდამავლობა-გარდაუვალობა, როგორც ვხედავთ, წარმოდგენილია ერთმანეთისგან დამოუკიდებელივ და არა ერთი ფუძისგან ნაწარმოებ ზმნათა დიქოტომიის სახით (შდრ.: აატირა — ატირდა, სადაც დიქოტომიის პრინციპი დაცულია). მიზეზი გასაგებია: რუსულში არ იქმნება იმ რიგის შეპირისპირება, რომელიც სრულიად ბუნებრივია ქართულისათვის; მაგალითად, ზემოდასახელებული აატირა — ატირდა რუსულში ასეთი სახით იქნება წარმოდგენილი: **заставил заплакать — заплакал**, რაც გამორიცხავს მორფოლოგიური დიქოტომიის შესაძლებლობას.

იმავედროულად ინხოატივად რუსულში მიიჩნევა ისეთი ფორმებიც, რომლებიც გამოხატავენ გარდაქცევითობას, ამა თუ იმ მდგომარეობაში გადასვლას: **гаснуть — погаснуть, вянуть — увянуть, каменеть — окаменеть...** ინხოატივი ამ შემთხვევაში არსებითად მხოლოდ გარდაქცევითობას გულისხმობს და განირჩევა მოქმედების საწყისობისაგან; ანუ: ამ განსაზღვრით, ინხოატივი და საწყისობა სხვადასხვაა¹³. ასე რომ, ინხოატივად მიჩნეულია ის, რაც ინხოატივის ერთ-ერთ ნიშან-თვისებად არის დასახელებული ზოგ სხვა განმარტებაში (საწყისობასთან ერთად).

არის ცდა, დადგინდეს სემანტიკური ველი იმ ზმნებისათვის, რომელთაგან შესაძლოა იწარმოოს ინხოატივი: ესაა ბგერადობის, მეტყველების, მოძრაობის, ფსიქიკური მდგომარეობისა და მისი გამოვლინებების გამომხატველი ზმნები¹⁴.

3. ინხოატივის სემანტიკური რაობისათვის

ინხოატივად, როგორც ითქვას, იწოდება ზმნის ფორმა, რომელიც გამოხატავს მოქმედების დაწყებითობას. ინხოატივი, როგორც ასპექტის ფორმა, უპირისპირდება მოქმედების ფინალობას. უფრო ზუსტად: ქართულში დაწყებითობა-ფინალობა არის სრული ასპექტის ერთ-ერთი ნაირსახეობა: **აახმაურა, ახმაურდა** — საწყისობაა, ინხოატივია, ხოლო **გაახმაურა, გახმაურდა** — ფინალობა. და ასე: **ააფრიალა, აფრიალდა** ინხოატივია, ხოლო **გააფრიალა, ჩააფრიალა, წააფრიალა... გაფრიალდა, ჩაფრიალდა, წაფრიალდა...** — ფინალობა.

ანუ: ამ შემთხვევაში ინხოატივსა და ფინალობას ერთი და იმავე ყალიბის ზმნებში ზმნისწინები განასხვავებენ: ა- ზმნისწინიანი ფორმა ინხოატივს გამოხატავს,

¹⁰ Русская грамматика, том I, Москва, 1980 გვ. 596-598.

¹¹ Грамматика современного русского литературного языка, Москва, 1970, გვ. 347.

¹² А. В. Бондарко, Л. Л. Буланин, Русский глагол, Ленинград, 1967, გვ. 14-15.

¹³ Грамматика современного русского литературного языка, Москва, 1970, გვ. 349.

¹⁴ В. В. Виноградов, Русский язык, Москва, 1986, გვ. 433.

#177#

სხვა ზმნისწინიანი ფორმები — ფინალობას. ფინალობა შესაძლოა იმავე ფუძისგან ნაწარმოები სხვა ყალიბითაც გამოიხატოს: **იფრიალა, გაიფრიალა, ჩაიფრიალა**. ამ ყალიბის ზმნები ინხოატივს ვერ იწარმოებენ, ამიტომაც ინხოატივად მათაც ზემოდასახელებული ფორმები შეესაბამება. ასე რომ, ინხოატივის გამომხატველ ფორმათა ერთ რიგს უპირისპირდება ფინალობის გამომხატველ ფორმათა ორი რიგი:

აფრიალდა —	ა) გაფრიალდა, ჩაფრიალდა...
	ბ) იფრიალა, გაიფრიალა, ჩაიფრიალა...

ფინალობის ცნების შემოატანა აქ იმისთვისაა საჭირო, რომ სრული ასპექტი თავისთავად არ გულისმობს მოქმედების აბსოლუტურ დასრულებას, წყვეტას. მაგალითად, სრული ასპექტის ფორმებია **ატირდა, წავიდა**, მაგრამ სემანტიკურად ისინი არ ვარაუდობენ მოქმედების დასასრულს: **ატირდა** მოქმედების საწყისზე მიუთითებს,

წავიდა — მოქმედების არაზღვრულობაზე; ანუ: დასრულდა „ტირილის დაწყება“, „წასვლა“, მაგრამ გრძელდება „ტირილის პროცესი“, „სიარული“.

ინხოატივის სემანტიკური სტრუქტურა ორი კომპონენტისგან შედგება; ესენია: „დაწყება + „გარკვეული მოქმედება (მდგომარეობა)“. აღწერითად ეს მნიშვნელობა შეიძლება გამოიხატოს „იწყებს“ ზმნისა და ნებისმიერი მასდარის კომბინაციით (სინტაქსურად ესაა „იწყებს“ ზმნისა და უშუალო ობიექტის შეხამება): **იწყებს წერას, დაიწყებს წერას, დაიწყო წერა, დაუწყო წერა...** და ასე: **დაიწყო კითხვა, ხატვა, მუშაობა, სიმღერა, ღიღინი, ჩივილი, ყვირილი...** მაგრამ ორგანული წარმოებისა მხოლოდ ერთი, მკაცრად განსაზღვრული რიგის ფორმებია გამოყენებული ამ მნიშვნელობის გამოსახატავად.

რთული სემანტიკური სტრუქტურაა საფუძველი ამ ფორმათა ძირითადი თავისებურებებისა; კერძოდ, „დაიწყებს“, „დაიწყო“ კომპონენტი გამოხატავს სრულ ფინალურ ასპექტს, ხოლო მეორე კომპონენტი („გარკვეული მოქმედება, მდგომარეობა“) — განგრძობით, არაზღვრულ ასპექტს. ანუ: „ატირდა“ ზმნის სემანტიკურ სტრუქტურაში „ტირილის დაწყება“ სრულია და ფინალური, ხოლო დაწყების შედეგი — განგრძობითი და არაზღვრული. აღწერითი წარმოების დონეზე უკვე მორფოლოგიურადაა „დაიწყო“ სრული და ფინალური (მოქმედების დაწყება დამთავრდა), ხოლო „ტირილი“ — განგრძობითი და არაზღვრული (დაწყების შედეგი — ტირილი — გრძელდება).

შევნიშნავთ: „დაიწყო“ გრამატიკულად გამოხატავს სრულობასა და ფინალობას, ლექსიკურად — საწყისობას (რაც განაპირობებს მის გამოყენებას ინხოატივის სემანტიკურ სტრუქტურაში).

ინხოატივის სემანტიკური სტრუქტურა კარგად წარმოჩნდება შესაბამის ზმნათა განმარტებებიდანაც, რომლებშიც ყოფველთვის მონაწილეობს „დაიწყებს“, „დაიწყო“ კომპონენტი:

აბიბინდება = ბიბინს დაიწყებს

აბობოქრდება = ბობოქრობას დაიწყებს

აბოლდება = ბოლვას დაიწყებს

აბორგდება = ბორგვას დაიწყებს...

#178#

ანდა:

აბიბინებს = ბიბინს დააწყებინებს

აბობოქრებს = ბობოქრობას დააწყებინებს

აბოლებს = ბოლვას დააწყებინებს

აბორგებს = ბორგვას დააწყებინებს...

ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად ინხოატივის სემანტიკური სტრუქტურის დასადგენად ყველაზე სანდოა აორისტის ფორმები:

აბიბინა = ბიბინი დააწყებინა

აბიბინდა = ბიბინი დაიწყო...

ეს იმიტომ, რომ აწმყო და მყოფადი, თავისი სემანტიკის გამო, ზოგჯერ დაწყებითობის მნიშვნელობის შთაბეჭდილებას ახდენს მაშინაც, როცა სინამდვილეში ინხოატივი არა გვაქვს: **თბება**, **წითლდება** (ნამყო უსრული: **ათბა**, **აწითლდა**) ხშირად განიმარტება როგორც „თბობის“, „გაწითლების“ დაწყება, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მათ ზუსტი განმარტება აქვთ მოცემული — სრული შესატყვისი მათი სემანტიკური სტრუქტურისა:

თბება —	ა) თბილი ხდება, ათბობენ;
	ბ) სითბოს იძენს, სხეულს ითბობს.

წითლდება — წითელ ფერს იღებს, წითელი ფერისა ხდება.

აწმყოსა და მყოფადში მოსალოდნელი ორაზროვნება მოიხსნება აორისტში (ნამყო ძირითადში):

ათბა — თბილი გახდა, სითბო დადგა;

აწითლდა — წითელი ფერისა გახდა.

მაგრამ შდრ.:

აბიბინდა — ბიბინი დაიწყო

ააბიბინა — ბიბინი დააწყებინა.

აშკარაა, რომ ათბა, აწითლდა, ერთი მხრივ, და აბიბინდა, ააბიბინა, მეორე მხრივ, გარკვეული სემანტიკური ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისაგან; კერძოდ, ათბა მდგომარეობის ფიქსაციაა, აწითლდა — გარდაქცევითობა, ხოლო აბიბინდა, ააბიბინა — მოქმედების საწყისობა, დაწყებითობა (ინხოატივი).

4. ინხოატივის ორგანულ ფორმათა წარმოებისათვის

ინხოატივს სპეციალური მაწარმოებელი ქართულში არა აქვს. მეტიც: არა აქვს მას განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ყალიბიც. ინხოატივის გამოხატველ ფორმათა შემადგენელი ყველა ელემენტი (ზმნისწინი ა-, ვნებითში — სუფიქსი -დ...) სულ სხვა მნიშვნელობათა გამოსახატავადაც ხშირად გამოიყენება. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ინხოატივის გამოსახატავად ქართულში მორფოლოგიური ფაქტორი (ფორმობრივი წესი)

#179#

საერთოდ არ მოქმედებს, რომ ინხოატივი წმინდა სემანტიკური კატეგორიაა. არსებობს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ფ ო რ მ ო ბ რ ი ვ ი მ ი მ ა რ თ ე ბ ა , რომელიც შესაძლებელს ხდის ინხოატივის მნიშვნელობის გამოხატვას მკაცრად განსაზღვრული ყალიბით (სხვაგვარი ფორმობრივი მიმართების შემთხვევაში იმავე ყალიბით გამოიხატება სხვა გრამატიკული მნიშვნელობა).

ინხოატივი გამოიხატება როგორც ვნებითის, ასევე მოქმედებითის ყალიბით, იმ შემთხვევაში, თუ დაცულია ორი პირობა.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

*

* *

1. აწმყოს წრეში წარმოდგენილია მოქმედებითი და ე.წ. „საშუალო“ გვარის ფორმები:

ამღერებს — 0 — მღერის,

ხოლო მყოფადის წრეში, აგრეთვე II და III სერიაში — გვარის სამივე (მოქმედებითი, ვნებითი, „საშუალო“) ფორმა:

აამღერებს — ამღერდება — იმღერებს

აამღერა — ამღერდა — იმღერა

ამათგან „ამღერდა“ და „იმღერა“ რიგის ფორმები ნაკლულ პარადიგმებს უვსებენ „მღერის“ ფორმას; უფრო ზუსტად: ეს ორი რიგის ფორმები უღვლილებით ერთ (სემანტიკურ) სისტემას ქმნის „მღერის“ ფორმასთან ერთად:

აწმყო	ამღერებს — მღერის
მყოფადი	აამღერებს — ამღერდება იმღერებს (დაამღერებს)
ნამყო ძირ.	ამღერა აამღერა — ამღერდა იმღერა
I შედეგ.	აუმღერებია — ამღერებულა უმღერია...

ამის მიხედვით შეიძლება გამოვიყვანოთ წესი: ის -დ სუფიქსიანი ვნებითი, რომელიც უღვლილების პარადიგმაში ჩაენაცვლება „საშუალო“ („მედიაექტიურ“) ანუ მდგომარეობითობის გამომხატველ ფორმას, ჩვეულებრივ, გამოხატავს მოქმედების დაწყებითობას. იმავე ფუნქციას გამოხატავს შესაბამისი მოქმედებითაც:

[აბიბინებს — ბიბინებს]

ინხოატივი: ააბიბინებს — აბიბინდება (|| იბიბინებს)

„ ააბიბინა — აბიბინდა (|| იბიბინა)

ანდა:

[აბოლებს— ბოლავს]

ინხოატივი: ააბოლებს — აბოლდება (|| იბოლებს)

„ ააბოლა — აბოლდა (|| იბოლა) და მისთ.

#180#

ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი „საშუალო“ გვარის ზმნათა უღვლილების პრინციპის თაობაზე: ღიღინებს, მღერის, შრიალებს ტიპის ზმნათა უღვლილების შესახებ სამი მოსაზრება არსებობს.

ცნობილია, რომ ეს ზმნები უღვლილებისას ფუძეს იცვლიან: აწმყოს წრეში ერთი ფუძე აქვთ, სხვა პარადიგმებში — განსხვავებული ფუძე, რომელსაც ჩანაცვლებულ (შენაცვლებულ...) ფუძეს უწოდებენ.

ერთი თვალსაზრისით, ამ რიგის ზმნებს მხოლოდ მოქმედებითის ყალიბის მექონე ფუძე ჩაენაცვლება:

აწმყო: ღიღინებს, მღერის, ყვავის

მყოფადი: იღიღინებს, იმღერებს, იყვავილებს

ნამყო ძირითადი: იღიღინა, იმღერა, იყვავილა...¹⁵

მეორე თვალსაზრისით, ამ ზმნათაგან ზოგს შეენაცვლება მოქმედებითის ყალიბი:

აწმყო: მღერის, ჩივის

მყოფადი: იმღერებს, იჩივლებს

ნამყო ძირითადი: იმღერა, იჩივლა...

ზოგს კი — ვნებითის ყალიბი:

აწმყო: ყვავის

მყოფადი: აყვავდება

ნამყო ძირითადი: აყვავდა...¹⁶

მესამე თვალსაზრისით, ხსენებულ ზმნებს პარალელურად შეენაცვლება როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითის ყალიბის მქონე ფუძეები:

აწყო: მღერის, ყვავის

მყოფადი: იმღერებს || ამღერდება; იყვავილებს || აყვავდება

ნამყო ძირითადი: იმღერა || ამღერდა; იყვავილა || აყვავდა...

რამდენად რეალურია ასეთი (მესამე) სისტემის არსებობა?

მართალია, გამოთქმულია მოსაზრება, რომ, მაგალითად, „იდულა“ და „ადულდა“ სხვადასხვა პარადიგმის წევრებია¹⁷ (და ეს, მართლაც, ასეა, რადგან „ადულდა“ არის „დულდება“ ზმნის პარადიგმის წევრი, ხოლო „იდულა“ — „დულს“ ზმნისა), მაგრამ სხვაგვარად დაისმის საკითხი, „იმღერა || ამღერდა“ ტიპის ფორმათა მიმართ, რადგან გასათვალისწინებელია:

ა) არ არსებობს ***მღერდება** (***ზიზინდება**, ***ჩივლდება**, ***ყვავდება**...) ტიპის ფორმები, მაგრამ გვაქვს: **ამღერდება** (**აზიზინდება**, **აჩივლდება**, **აყვავდება**...), რომლებიც ლექსიკური მნიშვნელობით იგივეა, რაც: **იმღერებს** (**იზიზინებს**,

¹⁵ ა . შ ა ნ ი ძ ე , ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტომი III, თბილისი, 1980, გვ. 470-484.

¹⁶ ა რ ნ . ჩ ი ქ ო ზ ა ვ ა , ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი, 1950, გვ. 071-073.

¹⁷ ლ . ნ ო ზ ა ძ ე , მედიაოქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIX, თბილისი, 1974, გვ. 27, შენიშვნა 10.

#181#

იჩივლებს, იყვავილებს...), ოღონდ მათგან განსხვავებული გრამატიკული მნიშვნელობით. ამის კვალობაზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე რიგის ფორმა (ამღერდება და იმღერებს) აწმყოს ერთსა და იმავე მღერის ფორმას მიემართება; და ასე: ბიბინებს — აბიბინდება || იბიბინებს, ჩივის — აჩივლდება || იჩივლებს, ყვავის — აყვავდება || იყვავილებს...

ბ) ზემოხსენებულ „საშუალო“ გვარის ზმნათა უმეტეს ნაწილს სასხვისო (საობიექტო) ქცევის ფორმები მხოლოდ -დ სუფიქსიანი ვნებითის ყალიბით ეწარმოება:

აწმყო: ბიბინებს — უბიბინებს

მყოფადი: აბიბინდება || იბიბინებს — აუბიბინდება || 0

ნამყო ძირ.: აბიბინდა || იბიბინა — აუბიბინდა || 0

ამ რიგისაა: უყვავის — აუყვავდება, უშრიალებს — აუშრიალდება...

ძალზე იშვიათია შემთხვევები, როცა აქაც პარალელური წარმოებაა გამოყენებული:

აწმყო: მღერის — უმღერის

მყოფადი: ამღერდება || იმღერებს — აუმღერდება || უმღერებს

ნამ. ძირ.: ამღერდა || იმღერა — აუმღერდა || უმღერა...

მაგრამ სემანტიკურად მიმართება აუმღერდა || უმღერა არ არის იმგვარივე, როგორიცაა ამღერდა || იმღერა:

ამღერდა — სიმღერა დაიწყო,

იმღერა — სიმღერა თქვა;

მაგრამ:

აჰმდერდა — სიმდერა დაუწყო (გულმა...), სიმდერა დაიწყო მისთვის,

უმდერა — სიმდერით მიმართა მას; იმდერა მისთვის.

ამრიგად, აუბიბინდება, აუყვავდება, აუშრიალდება ფორმებისათვის აწმყოდ უბიბინებს, უყვავის, უშრიალებს ივარაუდება. თუ ასეა, მაშინ აბიბინდება, აყვავდება, აშრიალდება ფორმებსაც აწმყოდ ბიბინებს, ყვავის, შრიალებს მოუდის.

გ) ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ ზოგჯერ საერთო ყალიბის მქონე აწმყო და აწმყოს წრის ფორმები, ერთი მხრივ, ხოლო მყოფადი და ყველა დანარჩენი ფორმა, მეორე მხრივ, სემანტიკურად შეუთავსებელია; იხ.: ცივდება („ცივი ხდება“: ღამით ხმელეთი ცივდება; „გაცივებით ავად ხდება“: აქ მცხოვრებნი მალ-მალე ცივდებოდნენ), რომლის პარადიგმაა: გაცივდება, გაცივდა, გაცივებულა... შდრ.: აცივდება („სიცივე დაიწყება“), რომელიც ფორმოზრივ ცივდება ზმნას შეესაბამება, მაგრამ სემანტიკურად ცივა (← ცივ არს) ზმნის პარადიგმაშია გაერთიანებული და ამის გამოა, რომ მდგომარეობის დაწყებითობას (ინხოატივს) გამოხატავს (ამავე მიზეზით მის პარალელურ ფორმად ეციება ივარაუდება).

ნიშანდობლივია ისიც, რომ აჰმდერდება, აშრიალდება ტიპის ფორმები

#182#

უპირატესად აქტიურ გარდაუვალ მოქმედებას გამოხატავენ, რაც დამახასიათებელია სწორედ „საშუალი“ (მდერის, შრილაებს) ფორმებისათვის.

რა განასხვავებს სემანტიკურად აჰმდერდება — იმდერებს რიგი ფორმებს?

იმდერებს საკუთრივ მყოფადია, იმდერა — საკუთრივ ნამყო ძირითადი...

აჰმდერდება ინხოატიური მყოფადია, აჰმდერდა — ინხოატიური ნამყო ძირითადი...

*

* *

2. ინხოატივის გამოსახატავად აუცილებელია ა- ზმნისწინის მქონებლობა: **ამდერდება, აზიბინდება, აშრიალდება, აკრიალდება...** სხვა ზმნისწინები ამ ფორმებთან ან საერთოდ არ გვხვდება, ანდა სულ სხვა მნიშვნელობას გამოხატავენ; შდრ.: **აშრიალდება** „შრიალს დაიწყებს“ — **გაშრიალდება** „შრიალით შეირხევა, შრიალის ხმას გამოსცემს || შრიალით ამოდრავდება, წავა“, **ალაპარაკდება** „ლაპარაკს დაიწყებს“ — **წალაპარაკდებიან** „შეეკამათებიან ერთმანეთს“.

ძალზე იშვიათად დასტურდება სხვა ზმნისწინებიც.

გამოიყენება, მაგალითად, და- ზმნისწინი, მაგრამ ამ შემთხვევაში ზმნები ყოველთვის ბისემიურია: **დატრიალდა** — „ტრიალი დაიწყო || „ერთგზის მოტრიალდა“, **„დაატრიალა** — „ტრიალი დააწყებინა“ || „ერთგზის მოატრიალა“...

ზოგჯერ ინხოატივი გამოიხატება გა- ზმნისწინიანი ფორმებითაც: **გაწვიმდა** „წვიმა დაიწყო“, **გათოვდა** „თოვა დაიწყო“, **გაკაშკაშდა** „კაშკაში დაიწყო“... ნიშანდობლივია, რომ პარალელურად ამ ფორმებს სხვაგვარი სემანტიკური ყალიბიც მოეპოვება: „თოვლი მოვიდა:, „წვიმა მოვიდა“... ინხოატივის სემანტიკა ამ შემთხვევაში თვით ზმნის ლექსიკური მნიშვნელობითაა შეპირობებული და არა მორფოლოგიური სტრუქტურით.

ამას ისიც ადასტურებს, რომ აქ პირველი პირობაცაა დარღვეული: -დ სუფიქსიანი ყალიბისათვის მოგვეპოვება აწმყოს ფორმებიც (**წვიმდება, თოვდება**).

ინხოატივს ზოგჯერ გამოხატავს ამო- ზმნისწინიანი ფორმაც: **ამორაკრავდება** „ამოვა და რაკრავს დაიწყებს“ || „რაკრავით ამოვა“; და ასე: **ამოჩუხჩუხდება, ამოფრიალდება, ამოშრიალდება, ამოკაშკაშდება...** ინხოატივის გამოსახატავად ასეთი ფორმების არსებობა ბუნებრივია, რადგან ამო- რთული შედგენილობისაა და შეიცავს ა- ზმნისწინს — ინხოატივის გამოსახატავად აუცილებელ კომპონენტს (მო- დამატებით

აღნიშნავს მოსაუბრე პირისაკენ მიმართულებას). ოღონდ ამგვარი წარმოება შეზღუდულია და მხოლოდ გარკვეული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნებთანაა დაკავშირებული (კერძოდ, ესაა სვლის, სიარულის თანამდევი მოქმედების გამომხატველი ზმნები) და ისიც არა ყოველთვის (შდრ.: ამოზავს და ბავშვს დაიწყებს“).

*

* *

ამრიგად, გამოიყო ორი მორფოლოგიური პირობა, რომელიც აუცილებელია მოქმედების დაწყებითობის გამოსახატავად.

#183#

იმ შემთხვევაში, როცა ამ ორი პირობიდან დარღვეულია ერთ-ერთი, მაშინ:

ა) ინხოატივი არ გამოიხატება; მაგალითად, **ასადილებს — 0 — სადილობს**. მაგრამ იმის გამო, რომ მყოფადსა და სხვა ნაკვთებში **სადილობს** ფორმის შესატყვისად გვაქვს მხოლოდ: **ისადილებს, ისადილა** და არა გვაქვს: ***ასადილდება...** (ე.ი. შესაბამისი ა- ზმნისწინიანი და -დ სუფიქსიანი ფორმა), ინხოატივის გამოხატვაზე ლაპარაკი შეუძლებელია. მართალია, დასტურდება **ასადილებს**, მაგრამ, ფორმათა ზემოხსნეხული მიმართების არარსებობის გამო, იგი ინხოატივს ვერ გამოხატავს (შდრ.: **ამღერებს — ამღერდება || იმღერებს**, რაც განაპირობებს იმას, რომ **ამღერებს** და **ამღერდება** ფორმები ინხოატივს გამოხატავს).

ბ) ინხოატივი გამოიხატება კონტექსტით; ეს ხდება მაშინ, როცა ზემოდასახელებული სამწვერიანი მიმართების დროს -დ სუფიქსიანი ვნებითი დასტურდება აწმყოშივე: **აგორებს — გორდება — გორავს**, მყოფადი: **ააგორებს — აგორდება — იგორებს...** ამის კვალობაზე **აგორდება** ორი მნიშვნელობის გამომხატველია

კონტექსტის შესაბამისად: „გორვას დაიწყებს“ || „გორვით ავა“. ამ რიგისაა: **აგოგდება, აფოფხდება, აცოცდება...**

ანუ: ცვლილება ფორმოზრივი მიმართებების თვალსაზრისით შესაბამისად აისახა სემანტიკის დონეზეც.

ამიტომაც აღინიშნა ხაზგასმით, რომ ფორმათა მიმართების ფაქტორი არსებითი მნიშვნელობისაა ამ დროს: მის გარეშე თვით შესაბამისი ყალიბიც არ გამოხატავს მოქმედების დაწყებითობას; ამიტომაც არ გამოიხატება ინხოატივი **ასრულდა, აწითლდა, აშენდა...** ფორმებით; ასევე — არც მათი შესაბამისი მოქმედებებით: **აასრულა, ააწითლა, ააშენა...** შდრ.: მაგალითად: „მთები **აჭრელდა** (= ჭრელი გახდა) როგორც ჟირაფი“ და: „**ატირდება** (ტირილს დაიწყებს) დრო და ჩემი ლექსი“ (გ. ტაბიძე).

*

* *

აღინიშნა, რომ ა- ზმნისწინის გარეშე შესაბამისი მოქმედებითისა და ვნებითის ყალიბები ინხოატივს არ გამოხატავენ. ეს ნიშნავს, რომ ინხოატივი აწმყოს წრეში არ გამოიხატება.

მართალია, არსებობს **კაშკაშდება, გუგუნდება, ტივტივდება**, მაგრამ ყველა ამ რიგის ფორმა მეორეულია, მიღებულია მყოფადისაგან (**აკაშკაშდება, აგუგუნდება, ატივტივდება**) **„დეპრევერბაციის გზით“**¹⁸. ჩვეულებრივ, ასეთი ფორმები მხატვრულ მეტყველებაში გვხვდება: „ჭრაქის ოდნავ მბჟუტავ შუქზე **კაშკაშდებიან** ძველი სახეები“ (ვ. ბარნოვი), „კვლავ გრიალებს მთიბლური, კვლავ ჰოპუნა **გუგუნდება**“ (მ. ლებანიძე).

იმავედროულად ენაში ჩვეულებრივია **გოგდება, გორდება, ტრიალდება, ცურდება** ფორმები. ხშირად მათ ინხოატივის ნიმუშებად ასახელებენ. ეს ძირითადად

ორი მიზეზის გამო ხდება: ა) ირევა აწმყოსა და ინხოატივის ცნებები: ბ) დასახელებული ზმნები წარმოიდგინება იმ პარადიგმის წევრად, რომელშიც არის: აგოგდება, აგორდება, ატრიალდება, აცურდება... ანუ: გორდება — აგორდება — აგორდა... მაგრამ აგორდება, როგორც ითქვა, კონტექსტის შესაბამისად

¹⁸ ზ . ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე , მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი, 1986, გვ. 112-113.

#184#

ორი მნიშვნელობის გამომხატველია: „გორვით ავა“, რომლის აწმყოა გორდება „გორვით (ბრუნვით) მოძრაობს, გორვით ადგილს იცვლის:, და „გორვას დაიწყებს“, რომელსაც აწმყო არა აქვს.

ანუ: ერთი მხრივ, დასტურდება:

აწმყო: აგორებს — გორდება — გორავს

მყოფადი: ააგორებს „გორვით აიტანს“ — აგორდება „გორვით ავა“ — იგორებს (|| გააგორებს, ჩააგორებს, გადააგორებს... — გაგორდება...)

ნამ. ძირ.: ააგორა „გორვით აიტანა“ — აგორდა „გორვით ავიდა“ — იგორა (|| გააგორა, ჩააგორა, გადააგორა... — გაგორდა...);

ხოლო, მეორე მხრივ, კი:

აწმყო: აგორებს — 0 — გორავს

მყოფადი: ააგორებს „გორვას დააწყებინებს“ — აგორდება „გორვას დაიწყებს“ (|| იგორებს)

ნამ. ძირ.: ააგორა „გორვა დააწყებინა“ — აგორდა „გორვა დაიწყო“ (|| იგორა...).

ამიტომაც შემთხვევით არ არის, რომ იმ ფორმებს, რომლებიც მხოლოდ ინხოატივს გამოხატავენ (აბიზინდება, აღილინდება, ამღერდება, ატირდება, აყვირდება...), საერთოდ არა აქვს აწმყოს წრე.

*

* *

ნიშანდობლივია ერთი ფაქტი.

ითქვა, რომ -დ სუფიქსიან ვნებითებს ზემოხსენებულ სისტემაში ან საერთოდ არა აქვს აწმყოს წრის ფორმები, ან, თუ აქვს, ინხოატივს არ გამოხატავენ.

იმავედროულად შესაბამისი მოქმედებითი აწმყოში ყოველთვის მოგვეპოვება: არა გვაქვს *გუგუნდება, *ღილინდება, *ტირდება, *მღერდება... მაგრამ გვაქვს: აგუგუნებს, აღილინებს, ატირებს, ამღერებს...

ღირსსაცნობი აქ ისაა, რომ აწმყოს წრეში მოქმედებითი არ გამოხატავს ინხოატივს: „აგუგუნებს ნიშნავს „გუგუნს გამოაცემინებს, გუგუნით დასძახებს“ (და არა: „გუგუნს აწყებინებს“), ამღერებს არის „სიმღერას ათქმევინებს, დამღერის“ (და არა: „სიმღერას აწყებინებს“), ატირებს — „ტირილს ჰგვრის, ცრემლს აღვრევინებს“ (და არა: „ტირილს აწყებინებს“), აგორებს — „გორვით ააქვს, გორვით ადგილს უცვლის“ (და არა: „გორვას აწყებინებს“); მაგრამ მაშინ, როცა მათ გვერდში უდგას ინხოატივის გამომხატველი აგუგუნდება, ამღერდება, ატირდება, აგორდება, ისინიც (ა-ს დართვით) მოქმედების დაწყებითობის გამომხატველი ხდებიან: ააგუგუნებს „გუგუნს დააწყებინებს“, აამღერებს „სიმღერას დააწყებინებს“, აატირებს „ტირილს დააწყებინებს“, ააგორებს — ერთ-ერთი მნიშვნელობაა „გორვას დააწყებინებს“ (მეორე — „გორვით აიტანს, აათრევს“)... ბოლო შემთხვევაში ბისემიურობა სისტემით არის შეპირობებული.

*

* *

უსრული ასპექტის ფორმები ინხოატივს არ გამოხატავენ.

აწმყო თავისთავად უსრულია — ესაა მისი ერთ-ერთი სემანტიკური მახასიათებელი. აწმყოს ინხოატივი არ გააჩნია.

იქ კი, სადაც მოქმედების უსრულობა-სრულობით ხდება დაპირისპირება, ინხოატივი მხოლოდ სრული ასპექტის ფორმით გამოიხატება:

აყვირა „აიძულა ეყვირა“ — ააყვირა „ყვირილი დააწყებინა“,

ატირა „ცრემლი მოჰგვარა“ — აატირა „ტირილი დააწყებინა“,

ამღერა „სიმღერა ათქმევინა“ — აამღერა „სიმღერა დააწყებინა“,

აშრიალა „შრიალის ხმა გამოაღებინა“ — ააშრიალა „შრიალი დააწყებინა“...

ამ ფორმათა შესატყვის ვნებითებს (აყვირდა, ატირდა, ამღერდა, აშრიალდა) საერთოდ არ მოეპოვება უსრული ნაირსახეობა.

*

* *

ინხოატივისგან მოქმედების დაწყებითობისგან უნდა განირჩეს პროცესის შედეგის დადგომა: გათენდა, განათდა, გაბრწყინდა, გასივდა, გათბა, დადნა, დალბა, მოსწყურდა, მოჰშივდა, მოტყუვდა, შეშინდა... ზმნები პროცესის შედეგს გამოხატავენ. ამ

რიგში შემოდის ადგა, დაჯდა ტიპის ზმნებიც. ანუ: გათენდა ნიშნავს „გათენებულია“ და არა: „გათენება დაიწყო“, ასევე: შეშინდა „შეშინებულია“ და არა: „შიში დაეწყო“...

5. ინხოატივის აღწერითი წარმოებისათვის

აღინიშნა, რომ ინხოატივის ორგანულ წარმოებასთან ერთად გამოიყენება აღწერითი წარმოებაც. აღწერითად შესაძლებელია დაწყებითობა გამოიხატოს აბსოლუტურად ყველა ზმნის მიერ. ესაა „დააწყებინა || დაიწყო + მასდარი (შესაბამისი ზმნისა): დააწყებინა || დაიწყო შენება, კეთება, წერა, ხატვა, თოხნა...

„დააწყებინა“ || „დაიწყო“ ზმნის მონაცვლედ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სემანტიკურად მისი ფარდი ფორმები: „ატეხა:, „ატყდა“, „შეუდგა“, „შეიქნა“, „მორთო“, „მოჰყვა“: დაიწყო ყვირილი = ატეხა ყვირილი (თუ „დაიწყო“ ვნებითია, მაშინ: დაიწყო ყვირილი = ატყდა ყვირილი), დაიწყო მუშაობა — შეუდგა მუშაობას, დაიწყო მტრობა = შეიქნა მტრობა („შეიქნა დიდი მტრობა“, დ. გურამიშვილი)...

ოღონდ ეგაა: „დააწყებინა“ || „დაიწყო“ შეუზღუდავად გამოიყენება ინხოატივის გამოსახატავად, ხოლო „ატეხა“, „შეუდგა“, „შეიქნა“, ფორმათა გამოყენება ფრიად იზღუდება ამ თვალსაზრისით — ისინი მხოლოდ გარკვეული სემანტიკის ზმნებს ეხამებიან: ატეხა სიცილი, ტირილი; შეიქნა აურზაური; შეუდგა შენებას, კეთებას... მაგრამ დაუშვებელია: *ატეხა ბიბინი, ცურვა; ან: *შეიქნა ღიღინი, ბოლვა; ანდა: *შეუდგა სიცილს, ტირილს...

ინხოატიურ მოქმედებითს აღწერით ფორმებში კაუზატიური კონსტრუქცია შეესაბამება (ამღერა = სიმღერა დააწყებინა).

#186#

ინხოატიური ვნებითის ფარდად „დაიწყო“ ზმნიანი კონსტრუქცია გამოდის. „დაიწყო“ კი მოქმედებითადაც გამოიყენება (სათავისო ქცევა) და ვნებითადაც (ინიანი ვნებითია); შდრ.: დაიწყებს ტირილს — დაიწყო ტირილი (|| ატეხა ტირილი), მაგრამ: დაიწყება ტირილი — დაიწყო ტირილი (|| ატყდა ტირილი).

ორგანული წარმოებისგან განსხვავებით, აღწერითი წარმოების ფორმები მოქმედების დაწყებითობას გამოხატავენ აწმყოს წრეშიც: იწყებს ყვირილს, იწყებდა ყვირილს, იწყებდეს ყვირილს...

მოგვეპოვება აღწერითი წარმოების ინხოატივის უსრული ასპექტიც: იწყო ყვირილი (შდრ.: დაიწყო ყვირილი)...

ზოგჯერ ერთსა და იმავე ფრაზაში ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი აღწერითი და ორგანული წარმოების ინხოატივი:

„ცხენებმა ფრუტუნი დაიწყეს, შიშით აკანკალდნენ“ (შ. არაგვისპირელი);

„არყის ხის ფოთლები თითქო უფრო ათრთოლდნენ და რაღაც საიდუმლო შრიალს მოჰყვენენ“ (შ. დადიანი);

„ძაღლებმა შემზარავი ყმუილი მორთეს, აზმუვლდნენ ძროხები“ (კ. გამსახურდია).

*

* *

ამრიგად, შეიძლება ითქვას:

1. ორგანული წარმოების ფორმებით ინხოატივის გამოხატვა ქართულში შესაძლებელია მკაცრად განსაზღვრულ მორფოლოგიურ სისტემაში;
2. ინხოატივი გამოიხატება მყოფადის წრის, II და III სერიის პარადიგმებით;
3. ინხოატივს გამოხატავენ მასდარებიცა და მიმღეობებიც (ამღერება, ამღერებული...);
4. ინხოატივს გამოხატავს როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ფორმები (ამღერებს — ამღერდება...);

5. ორგანული წარმოების ინხოატივი ქართულში გამოიხატება მხოლოდ სრული ასპექტის ფორმებით; უკეთ: ინხოატივი არის სრული ასპექტის ერთ-ერთი ნაირსახეობა;

6. ინხოატივი განირჩევა ქცევის მიხედვითაც: ა) აამლერებს, ამლერდება; ბ) აიმლერებს; გ) აუმლერებს, აუმლერდება;

7. ინხოატივი განარჩევს გზისობასა და განგრძობითობას: აამლერებდა, ამლერდებოდა ხოლმე...

8. ინხოატივს მოეპოვება კილოს ყველა ფორმა, დროის ფორმათაგან — მყოფადი და ნამყო.

9. ორგანული წარმოების პარალელურად ფართოდაა გამოყენებული აღწერითი წარმოების ფორმებიც.

Б. А. Джорбенадзе

ИНХОАТИВ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Р е з ю м е

1. Инхоатив в грузинском языке выражается органическими и описательными формами.

2. Органически инхоатив выражается формами действительного

#187#

и страдательного залогов при наличии двух условий: а) страдательная форма входит в систему спряжения «среднего» залога: myeris «поёт» — amyerda «запел» (imyera «спел»); т.е. страдательная форма используется взамен отсутствующей «средней» формы. Соответственно: аamyera «заставил запеть»; б) в глаголе наличен преверб а-: аamyera — amyerda.

3. Функцию инхоатива могут выражать масдары и причастия: амуереба «начинать пение», амуереbuli «запевший».

4. Инхоатив имеет только совершенный вид; ср. амуера «заставил петь» — аамуера «заставил запеть».

5. Инхоатив имеет формы версии: нейтральной (аамуера), субъектной (aimуера) и объектной (aumуера).

6. Формы инхоатива выражают и многократность действия: аамуереbda «заставлял петь».

7. Инхоатив имеет все формы наклонений, а из временных форм — будущее и прошедшее.